საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 533 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ალტერ ენერჯისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და შპს „ალტერ ენერჯის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ალტერ ენერჯის“ (ს/ნ: №445406515) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 3454 (სამი ათას ოთხას ორმოცდათოთხმეტი) ლარად, აღნაგობის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 3454 (სამი ათას ოთხას ორმოცდათოთხმეტი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობას, შპს „ალტერ ენერჯისა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2018 წლის 10 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურ „გოგინაური ჰესის“ აშენებისა და ამავე მემორანდუმით განსაზღვრულ ვადაში ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ალტერ ენერჯი“ გათავისუფლდეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ალტერ ენერჯის“ შორის 2014 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობისა და სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებებისა და 2015 წლის 6 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

N	საკადასტრო კოდი	მისამართი	დანიშნულება	ფართი კვ.მ.
1.	24.04.34.157	მუნიციპალიტეტი შუახევი, სოფელი გოგინაური	არასასოფლო სამეურნეო	8770
2.	24.05.34.664	მუნიციპალიტეტი შუახევი, მდ მოდულისწყალის მიმდებარე ტერიტორია	არასასოფლო სამეურნეო	7372
3.	24.04.35.162	მუნიციპალიტეტი შუახევი, სოფელი ტაკიძეები	არასასოფლო სამეურნეო	14294